

ევროპული ინიციატივა – ლიბერალური აკადემია თბილისი არის არასამთავრობო, არაკომერციული ორგანიზაცია, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოსა და მთლიანად სამხრეთ კავკასიაში ლიბერალური დემოკრატიული ღირებულებების, მშვიდობისა და ევროატლანტიკური ინტეგრაციის მხარდაჭერას.

პროექტი ხორციელდება “ამერიკის შეერთებული შტატების, ჯერმან მარშალის ფონდის” (GMF) მხარდაჭერით.



© EI-LAT 2016 “ევროპული ინიციატივა – ლიბერალური აკადემია თბილისი”
რუსთაველის გამზირი, 50/1, 0108, თბილისი, საქართველო.
ტელ./ფაქსი: +(995 32) 293 11 28;
ელფოსტა: info@ei-lat.ge, ვებგვერდი: <http://ei-lat.ge>

რუსეთის ხისტი და რბილი ძალის საფრთხეები საქართველოში



თბილისი
2016

რუსეთის ხისტი და რბილი ძალის საფრთხეები საქართველოში

პოლიტიკის დოკუმენტი

პროექტი ხორციელდება „ამერიკის შეერთებული შტატების, ჯერმან მარშალის ფონდის“ (GMF) მხარდაჭერით. ავტორების მიერ პოლიტიკის დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრება, შესაძლოა, არ გამოხატავდეს „ამერიკის შეერთებული შტატების, ჯერმან მარშალის ფონდის“ პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

The views, opinions and statements expressed by the authors and those providing comments are theirs only and do not necessarily reflect the position of "The German Marshall Fund of The United States". Therefore, the "The German Marshall Fund of The United States" is not responsible for the content of the information material.

© EI-LAT 2016 “ევროპული ინიციატივა – ლიბერალური აკადემია თბილისი”
რუსთაველის გამზირი, 50/1, 0108, თბილისი, საქართველო.

ტელ./ფაქსი: +(995 32) 293 11 28;

ელფოსტა: info@ei-lat.ge, ვებგვერდი: <http://ei-lat.ge>

აბსტრაქტი

საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაცია ქვეყნის მოსახლეობის ერთმნიშვნელოვნად დომინანტური არჩევანია. მიუხედავად ამისა, 2012 წლიდან ჩატარებული სოციოლოგიური კვლევები მიუთითებს, რომ საზოგადოებაში პრორუსული განწყობა გაზრდილია.

რუსეთი კომპლექსური მეთოდებით ცდილობს, გავლენა მოახდინოს საქართველოში არსებულ პოლიტიკურ გარემოზე და შეცვალოს ქვეყნის განვითარების დასავლური ვექტორი. კრემლი აქტიურად იყენებს პირდაპირი თუ ირიბი გავლენის მეთოდებს, როგორც პოლიტიკურ აქტორებზე ზემოქმედებისას, ისე მედიასთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ეკლესიასთან მიმართებაში.

რუსეთს ოკუპირებული აქვს საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი და მუდმივად ახდენს ზეწოლას საქართველოზე როგორც რბილი, ისე ხისტი ძალის გამოყენებით.

კვლევის შესახებ

კვლევა “რუსეთის ხისტი და რბილი ძალის საფრთხეები საქართველოში” ჩატარდა ლიბერალური აკადემია თბილისის მიერ “შეერთებული შტატების გერმანული, მარშალის ფონდის” (GMF) მხარდაჭერით.

კვლევაში გამოყენებული იყო თვისობრივი ხასიათის მეთოდები (ოფიციალური დოკუმენტების, მეორადი წყაროების ანალიზი, მედიაწყაროების ანალიზი, ინტერვიუები და ფოკუს-ჯგუფები გადამწყვეტილების მიმღებ პირებთან და ექსპერტებთან, ასევე სავლელ კვლევები ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში).

კვლევის მიზანს წარმოადგენდა შესწავლა, თუ რომელ სფეროებში, რა ინტენსივობით და როგორი მექანიზმებით ხორციელდება რუსეთის გავლენა საქართველოზე, რამდენად დიდია მისი გავლენა, როგორია საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, უკუქმედება, რამდენად სისტემურია და კომპლექსური პრობლემა.

წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტი აღნიშნული ნაშრომის საფუძველზეა შექმნილი. მასში შეფასებული და გაანალიზებულია რუსეთის მხრიდან მომავალი ძირითადი საფრთხეები და რისკები, ასევე წარმოდგენილია არსებული გამოწვევების გადაჭრის გზები და რეკომენდაციები.

ძირითადი საფრთხეები

რუსეთის რბილი ძალა საქართველოში

საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის გაღრმავებასთან ერთად რუსული რბილი ძალა ქვეყანაში სულ უფრო აქტიურდება და ცდილობს, გავლენა მოახდინოს მოსახლეობის განწყობაზე, რისთვისაც იდეოლოგიურ პროპაგანდასთან ერთად ზრდის ფინანსურ ხარჯებს სხვადასხვა აქტორებზე ზეგავლენის მოსახდენად და, ამასთანავე, ხელს უწყობს ანტიდასავლური მითებისა და სტერეოტიპების გავრცელებას.

- **რუსული პროპაგანდა**

კვლევის ფარგლებში ნათლად გამოიკვეთა, რომ პროპაგანდის გასავრცელებლად რუსეთი აქტიურად იყენებს როგორც სატელევიზიო, ისე ქართულ ენაზე არსებულ ბეჭდვით მედიას, რომელიც ხშირად სრულიად უფასოდ ვრცელდება მთელ საქართველოში და ეწევა კრემლის ნარატივების აგიტაციას.

რუსული მედიასაშუალებები, სარგებლობენ რა საქართველოში მოქმედი ლიბერალური კანონმდებლობით მაუწყებლობის სფეროში, მინიმალური სტანდარტების დაცვით ახორციელებენ როგორც სატელევიზიო მაუწყებლობას, ისე მაუწყებლობის ტრანზიტს საქართველოში. ამ მხრივ გარკვეული სიახლეა ახალი მიდგომები, კერძოდ რუსული სახელმწიფო არხების ქართული ადაპტირებული ვერსიების ადგილობრივ მედიაბაზარზე გამოჩენა, რაც სერიოზულ პასუხს და ახალი მიდგომების ჩამოყალიბებას ითხოვს.

რუსული პროპაგანდის გავლენა განსაკუთრებით აღსანიშნავია ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში, სადაც მაღალი რეიტინგი აქვს რუსეთის სახელმწიფო ტელევიზიებს, და, ამავდროულად მოსახლეობის ძალიან დიდი ნაწილი ინფორმაციას ქართულ ენაზე საერთოდ არ იღებს.

არსებული რეალობის შეფასებით ვიღებთ სურათს, სადაც რუსულ პროპაგანდას საკმაოდ ნაყოფიერი ნიადაგი ხვდება გავრცელებისათვის, რამდენადაც სახელმწიფოს არ აქვს ჩამოყალიბებული ხედვა და სტრატეგია არსებულ გამოწვევებზე, ხოლო სამოქალაქო საზოგადოების რეაგირება რუსული სახელმწიფო პროპაგანდისტული მანქანის წინააღმდეგ ჯერ კიდევ არასათანადოა.

- **რუსულ ორბიტაზე არსებული სამოქალაქო საზოგადოება**

კვლევამ წარმოაჩინა, რომ პრორუსული არასამთავრობო ორგანიზაციებიდან შესაძლოა გამოიყოს ორი მთავარი ფგუფი: ერთი, რომელიც რიტორიკისა და პროპაგანდის მეშვეობით ცდილობს საზოგადოების განწყობაზე ზემოქმედებას, ხოლო მეორე ფგუფი ქმნის გარკვეულ პლაცდარმს უფრო აგრესიული ქმედებებისათვის, რამაც, შესაძლოა, ქვეყნის უსაფრთხოება მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დააყენოს.

აღნიშნული ორგანიზაციების ფინანსური შემოსავლები ერთ-მნიშვნელოვნად გაუმჭვირვალეა და სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით ვლინდება, რომ ისინი უმეტეს შემთხვევაში დაფინანსებას სწორედ რუსეთისგან იღებენ.

მსგავსი ორგანიზაციების რიცხვი განსაკუთრებით გაიზარდა ბოლო პერიოდის განმავლობაში. რუსული დღის წესრიგის გავლენით ისინი აქტიურად მოქმედებენ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. საზოგადოებრივი აზრის შესაქმნელად ატარებენ ანტიდასავლური შინაარსის მქონე კვლევებს პოლიტიკურ საკითხებზე, ეწევიან ჰუმანიტარულ თუ საქველმოქმედო საქმიანობას.

- **პოლიტიკური პარტიები**

საქართველოს ევროატლანტიკური კურსის განმტკიცებისა და დემოკრატიული განვითარებისათვის ძალზე მნიშვნელოვანია მდგრადი და სტაბილური პოლიტიკური გარემოს შექმნა.

2016 წლის მოახლოებული საპარლამენტო არჩევნების წინ კვლავ გამოწვევად რჩება პარტიების ფინანსური გამჭვირვალობა, ფინანსების სათანადო მონიტორინგი და ანგარიშგება, რაც ქმნის დამატებით რისკებს პოლიტიკურ პროცესებში უცხო ქვეყნის, პირველ რიგში, რუსეთის მხრიდან არაფორმალური არხებით დაფინანსების შემოდინებასთან დაკავშირებით.

პარლამენტში არსებული პოლიტიკური ძალების რეიტინგის შემცირების პარალელურად ბოლო პერიოდის განმავლობაში სულ უფრო მეტად გაიზარდა ანტიდასავლური, ე.წ. "პროქართული" პარტიების რეიტინგი, რაც მომავალ პარლამენტში პრორუსული პოლიტიკური ვექტორის გაძლიერებას და რუსული პოლიტიკური პლაცდარმის გაჩენის შესაძლებლობას ქმნის.

ამ ფონზე განსაკუთრებით სახიფათოა პოლიტიკური გარემოს პოლარიზაცია, რამდენადაც აღნიშნული გარემო რადიკალური ანტიდასავლური ძალების პარლამენტში მოხვედრის შანსებს კიდევ უფრო მეტად გაზრდის.

ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) 2015 წლის ბოლო კვლევის თანახმად, მოსახლეობის 60%-ს კვლავ არ აქვს მიღებული საკუთარი პოლიტიკური არჩევანის შესახებ გადანყვეტილება, რაც არსებულ პოლიტიკურ გარემოში მნიშვნელოვნად ზრდის ახალი პოლიტიკური ძალების გაჩენისა და პოლიტიკური კლიმატის საგულისხმოდ ცვლილების შესაძლებლობას.

აღსანიშნავია, რომ არსებული სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევების ფონზე საქართველოს ნებისმიერი წარუმატებლობა ან შეფერხება ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის კუთხით ხელს უწყობს პრორუსული ძალების პოზიციების გაძლიერებას.

- **პოლიტიკური მითები და სტერეოტიპები**

კრემლის საინფორმაციო პოლიტიკაზე დაკვირვება ნათლად წარმოაჩენს, რომ პუტინმა საინფორმაციო პროპაგანდა ეროვნული

უსაფრთხოების კონტექსტში აიყვანა, რითაც ცდილობს როგორც შიდა, ისე საერთაშორისო საზოგადოების შეხედულებებსა და განწყობაზე მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენას.

პოლიტიკური მითები საქართველოში რუსული პროპაგანდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იარაღია. რუსული პროპაგანდა ხშირ შემთხვევაში ეყრდნობა ძლიერ ემოციურ მესიჯებს, რომლითაც ცდილობს, შექმნას და გააძლიეროს სტერეოტიპები ეთნიკური, რელიგიური და სექსუალური უმცირესობების წინააღმდეგ; ასევე, მოახდინოს დასავლური პოლიტიკური თუ კულტურული სივრცის დისკრედიტაცია და ხელი შეუწყოს საზოგადოებაში ჰომოფობიური და ქსენოფობიური შეხედულებების გავრცელებას.

აღნიშნული მითების კულტივირებით რუსეთი ცდილობს, წარმოიჩინდეს საქართველოს ერთადერთ მოკავშირედ, რომელთანაც აქვს საერთო იდენტობა, სარწმუნოება, ისტორია და კულტურული სივრცე. ყოველივე ზემოთ აღნიშნული ღირებულებების საფრთხედ კი ერთმნიშვნელოვნად დასავლეთს წარმოაჩენს.

- **ეკონომიკური ურთიერთობები რუსეთთან**

რუსეთმა საქართველოს წინააღმდეგ გამოიყენა მის ხელთ არსებული ყველა ეკონომიკური და პოლიტიკური ბერკეტი. რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომამდე დაიხურა რუსეთის ფედერაციის ბაზარი ქართული პროდუქციისთვის, საქართველოს შეუწყდა რუსეთიდან გაზომომარაგება, შეიზღუდა შრომითი მიგრაცია და ფულადი გადმორიცხვები, განხორციელდა საქართველოს მოქალაქეების დეპორტაცია და დაწესდა სავიზო რეჟიმი.

ამ ქმედებებმა მნიშვნელოვნად დააზიანა საქართველოს ეკონომიკა, თუმცა არ გამოიწვია მისი კოლაფსი. დღეს საქართველოს აქვს უფრო დივერსიფიცირებული ეკონომიკა, უფრო მაღალი დამოუკიდებლობის ხარისხი და უფრო დიდი შესაძლებლობები, თავი დაიცვას ეკონომიკური შოკისაგან.

რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობების ანალიზი ცხადყოფს, რომ საქართველოს სავაჭრო დამოკიდებულება რუსეთზე მოცემულ ეტაპზე არ შეიცავს სერიოზულ საფრთხეს. აღსანიშნავია, რომ რუსეთის ბაზარზე შეინიშნება ცალკეული პროდუქციების (ალკოჰოლური და მინერალური სასმელები) მაღალი კონცენტრაცია. რამდენადაც როგორც მოკლევადიან, ისე საშუალოვადიან პერსპექტივაში რუსეთის ბაზარი მაღალი ალბათობით წარმოადგენს რისკების შემცველ ბაზარს, აუცილებელია, შემუშავდეს ღონისძიებები, რომლებიც სტრატეგიული მიმართულებებით, სულ მცირე, შეარბილებს ამ ბაზარზე საქართველოს საექსპორტო-საიმპორტო დამოკიდებულებას, განსაკუთრებით ისეთ პროდუქტებზე, რომელთა წარმოების პროცესშიც ფართო სოციალური ჯგუფები არიან ჩართულნი.

ბოლო წლების განმავლობაში რუსეთის მიერ განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები წლიური ინვესტიციები 5%-მდეა, ამდენად, რუსეთიდან განხორციელებული ინვესტიციები დღეისათვის არ ახდენს მნიშვნელოვან გავლენას ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაზე.

აღსანიშნავია, რომ რუსეთს ყოველთვის ჰქონდა განსაკუთრებული ინტერესი სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ინფრასტრუქტურული ობიექტების მიმართ. პირველ რიგში, ესაა მაგისტრალური გაზსადენი, ასევე საქართველოს რკინიგზა. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ენერგეტიკული სექტორი რუსეთისთვის გადაიქცა საგარეო პოლიტიკის რეალიზაციის მნიშვნელოვან ინსტრუმენტად, კატეგორიულად დაუშვებელია სტრატეგიული მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული ობიექტების ნებისმიერი ფორმით რუსეთის ხელში გადასვლა, ისევე, როგორც რუსულ ენერგორესურსებზე დამოკიდებულებების გაზრდა.

თავდაცვა და უსაფრთხოება

რუსეთის საგარეო პოლიტიკის ანალიზი ნათლად მიუთითებს, რომ რბილი ძალის გააქტიურების პარალელურად, რუსეთი ინტენსიურად იყენებს შეიარაღებულ ძალებს და სპეცსამსახურებს საკუთარი მიზნების მისაღწევად.

რუსეთის საბიუჯეტო დაგეგმვის პრიორიტეტებიდან ნათლად ჩანს, რომ სხვა სფეროების მნიშვნელოვანი შეკვეცის ხარჯზე მხოლოდ თავდაცვის სფეროს რჩება უცვლელად დიდი დაფინანსება, ეს კი, შესაძლოა, იყოს მკაფიო ინდიკატორი რუსეთის საგარეო პოლიტიკური გეგმების შეფასებისას.

ქვეყნის შიგნით არსებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადასაფარად რუსეთი მიმართავს ჰიბრიდულ ომებს ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

ბოლო პერიოდის განმავლობაში რუსეთმა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მნიშვნელოვნად გაზარდა როგორც შეიარაღება, ისე ცოცხალი ძალა, რაც წარმოადგენს მნიშვნელოვან საფრთხეს საქართველოს სახელმწიფოებრიობისათვის. ოკუპირებულ რეგიონებში არსებული ვითარების ანალიზი აჩვენებს, რომ რუსეთში არსებული ეკონომიკური პრობლემებისა და მილიტარიზაციის ფონზე სულ უფრო მწვავედება სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.

რუსეთის პოლიტიკური და უსაფრთხოების დოკუმენტების ანალიზი აჩვენებს, რომ მოსკოვი ყველა საშუალებით შეეცდება, შეინარჩუნოს გავლენა თავის სამეზობლოში და ხელი შეუშალოს ამ ქვეყნების მდგრად, დემოკრატიულ განვითარებას. რუსეთის სამხედრო ძალები განლაგებულია საქართველოს მეზობელ სომხეთში და მოსკოვი ნეგატიურ როლს ასრულებს მთლიანად სამხრეთ კავკასიის უსაფრთხოების სისტემაში. დაძაბულობა შენარჩუნებულია უკიდურესად მილიტარიზებულ ჩრდილოეთ კავკასიაშიც. რუსეთი რეგიონში არასტაბილურობის შენარჩუნებით ცდილობს, რეგიონში არ დაუშვას ევროკავშირისა და ნატო-ს გააქტიურება, რამაც შეიძლება ხელი შეუწყოს რეგიონის ქვეყნების სახელმწიფოებრიობის

განვითარებასა და დასავლეთთან ინტეგრაციას. კრემლის მიერ ამგვარი განვითარება აღიქმება, როგორც საფრთხე.

ხისტ ძალასთან ერთად, სულ უფრო მეტი რბილი ძალისა და ხელშესახები ეკონომიკური მოტივაციის გამოყენებით, კრემლი ყველანაირად შეეცდება, დაარწმუნოს ქართული მხარე, რომ ქვეყნის უსაფრთხოების პრობლემებთან დაკავშირებული დისკუსიები მრავალმხრივი ფორმატიდან ორმხრივ ფორმატში გადაიტანოს და ამით განმუხტოს საერთაშორისო ზენოლა მოსკოვზე.

ძირითადი რეკომენდაციები

რუსეთიდან მომდინარე კომპლექსური საფრთხეების ფონზე საჭიროა სხვადასხვა მიმართულებით კოორდინირებული ნაბიჯების გადადგმა, რაც საშუალებას მოგვცემს, გამოვრიცხოთ ან სულ მცირე, შევამციროთ აღნიშნული საფრთხეები როგორც მოკლევადიან, ისე საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში. რეკომენდაციების უმრავლესობის ადრესატია საქართველოს ხელისუფლება, თუმცა უმეტეს შემთხვევაში საჭიროა კონსოლიდირებული მოქმედება როგორც ხელისუფლების სხვადასხვა შტოების, ისე მედიის, საერთაშორისო და სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან.

სტრატეგიული დაგეგმვის, უსაფრთხოებისა და თავდაცვის კუთხით:

- რუსეთიდან მომავალ საფრთხეებთან დაკავშირებით სასურველია შემუშავდეს კომპლექსური შინაარსის პოლიტიკური დოკუმენტი, რომელიც ასახავდა სახელმწიფოს სისტემურ ხედვას ამ პრობლემებზე და ხელს შეუწყობდა სხვადასხვა ინსტიტუტების კოორდინირებულ მოქმედებას.
- მნიშვნელოვანია ამ პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა, მათ შორის უსაფრთხოების სფეროში, სტრატეგიული და პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავებაში.

- ახალი საერთაშორისო და რეგიონული რეალობის გათვალისწინებით მნიშვნელოვანია ქვეყნის თავდაცვის სამხედრო და პოლიტიკური მიზნების თაობაზე ფართო საზოგადოებრივი დისკუსიების გამართვა და ამ მიზნების ირგვლივ პოლიტიკური კონსენსუსის მიღწევა.
- მთავრობამ, შსს-სა და სახელმწიფო უშიშროების ახლადშექმნილ სამსახურთან ერთად, უნდა დაინყოს უსაფრთხოების სექტორის ყოვლისმომცველი ინსტიტუციური გადასინჯვის პროცესი, რასაც უნდა მოჰყვეს კონკრეტული რეკომენდაციები მათი საქმიანობის უკეთ ჰარმონიზებისთვის და ინსტიტუციური კონფლიქტების გამორიცხვისთვის.
- აუცილებელია თავდაცვის ხარჯების მნიშვნელოვანი გაზრდა ჯარის მზადყოფნისა და ბრძოლისუნარიანობის ამაღლებისათვის.

საშინაო პოლიტიკაში არასასურველი გავლენების შემცირების კუთხით:

- მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს პარტიების დაფინანსების ეფექტიანი აუდიტი და მონიტორინგი, რათა მაქსიმალურად შეიზღუდოს არაფორმალური არხებით პოლიტიკურ სივრცეში დაფინანსების შემოდინების შესაძლებლობა.
- საკაბელო მაუწყებლობებში უნდა გავრცელდეს ციფრულ მაუწყებლობაში არსებული რეგულაციის პრინციპი, რომელიც უკავშირდება სხვა სახელმწიფოს არხების ტრანზიტს და აკრძალავს სხვა ქვეყნის სახელმწიფოსა და მასთან დაკავშირებული კერძო თუ იურიდიული პირების მიერ დაფუძნებული სატელევიზიო არხების ტრანზიტის განხორციელებას (საინფორმაციო ან საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების ფარგლებში) ქვეყნებს შორის შეთანხმების გარეშე.
- საზოგადოების, განსაკუთრებით ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონების, უკეთ ინფორმირებისათვის სასურ-

ველია საზოგადოებრივი მაუწყებლის ბაზაზე შეიქმნას/აღდგეს რუსულენოვანი არხი.

ეკონომიკის კუთხით:

- ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის არეალის შეთანხმებით წარმოქმნილი ეკონომიკური პოტენციალის მაქსიმალური რეალიზაციის მიზნით სასურველია სპეციალური ფონდის (ფონდის სახელად შეიძლება წარმოვიდგინოთ “საქართველოს ევროკავშირში ინტეგრირების ხელშემწყობი ფონდი”) ფორმირება, რომელიც მოახდენს აღნიშნული მიმართულებით საექსპორტო პოტენციალის ზრდის ხელშეწყობას.
- საქართველო უნდა შეურთდეს ევროკავშირის “ენერგეტიკულ ქარტიას“, რაც გაზრდის, ერთი მხრივ, საქართველოს ენერგეტიკულ დამოუკიდებლობას, მეორე მხრივ, გაზრდის გამჭვირვალობას ენერგეტიკულ სექტორში.
- მიზანშეწონილი იქნება, დაზუსტდეს სტრატეგიული ობიექტების ნუსხა და ეს ინფორმაცია გახდეს საჯარო და ყველასათვის ხელმისაწვდომი. ამავდროულად, ყველა ობიექტი, რომელიც მიეკუთვნება ენერგეტიკულ და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურას, ავტომატურად გახდეს სტრატეგიული და მთლიანად შეიზღუდოს ამ ობიექტებზე რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო ან კერძო კომპანიების წვდომა.
- მიზანშეწონილია, რუსეთის ფედერაციიდან ინვესტიციები ისეთ სფეროებში, როგორებიცაა – საფინანსო-საბანკო, ენერგეტიკული (ყველა ეტაპის ჩათვლით), სატრანსპორტო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის – არ განხორციელდეს ან განხორციელდეს წინასწარი კვლევების საფუძველზე, რომლებიც დაადასტურებს ამ ინვესტიციების უვნებლობას ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური მდგრადობისათვის.

- მიზანშეწონილია, ხელი შეეწყოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დანარჩენ ქართულ მხარესთან ბიზნეს და საქმიანი კონტაქტების დამყარებას. საქართველოს პარტნიორებთან ერთად უნდა მოხდეს DCFTA-ს შესაძლებლობების გახსნა (შეთავაზება) ოკუპირებულ ტერიტორიებზე მოქმედი ეკონომიკური სუბიექტებისათვის, რაც შეასუსტებს მათ და მთლიანად საზოგადოების დამოკიდებულებას რუსეთის ფედერაციაზე.

რუსეთის ხისტი და რბილი ძალის
საფრთხეები საქართველოში

პოლიტიკის დოკუმენტი